პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 195 (5225)

1974 წ. 2 ოქტომბერი, ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## პირველი შეხვედრები, პირველი შედეგები

გრძელდება ფაშისტურ გერმანიასთან საბჭოთა არმიის გამარჯვების 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების სპარტაკიადა, რომლის დევიზია „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“.

თბილისში უკვე დამთავრდა მძლეოსანთა, მოცურავეთა და ხელბურთელთა ტურნირები. მძლეოსანთა გუნდური ასპარეზობა „ბურევესტნიკმა“ მოიგო. II ადგილზეა „კოლმეურნე“, III — „სპარტაკი“. ცურვაში ყველას განთიადელებმა აჯობეს. მომდევნო საპრიზო ადგილები შესაბამისად ხვდათ „შრომითი რეზერვებისა“ და „ლოკომოტივის“ სპორტსმენებს.

ხელბურთელ ვაჟთა შეჯიბრების მონაწილე 6 გუნდი თავიდან ორ ქვეჯგუფად გაიყო (ასპარეზობაში „შრომითი რეზერვების“ კოლექტივი არ მონაწილეობდა). ჩემპიონი გახდა „განთიადის“ ნაკრები. II ადგილი დაიკავა „კოლმეურნემ“, III — „ბურევესტნიკმა“, რომელიც მეორე გუნდით გამოდიოდა.

ქალთა შეჯიბრებაში სულ 4 კოლექტივი („სპარტაკი“, „განთიადი“, „ლოკომოტივი“, „ბურევესტნიკი“) ჩაება, ამიტომ ტურნირი წრიული სისტემით ჩატარდა. ყველას „ბურევესტნიკის“ ხელბურთელებმა აჯობეს. II ადგილზეა „განთიადი“, III — „სპარტაკი“.

დღეს სპარტაკიადის პროგრამით თბილისში ბრძოლაში ჩაებმებიან ფრენბურთელები, ხოლო მცხეთაში — ქართული ჭიდაობის ოსტატები.

ტ. ფცქიალაძე.

* * *



ს უ რ ა თ ზ ე: „კოლმეურნისა“ და „ბურევესტნიკის“ ხელბურთელ ვაჟთა გუნდების შეხვედრის მომენტი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

## ასაკი რბენას ხელს არ უშლის

ლენინგრადი, 30 სექტემბერი. ლენინგრადელმა დინამოელმა რ. შარაფეტდინოვმა გაიმარჯვა ტრადიციულ გარბენში მარშრუტით: პუშკინი — ლენინგრადი. 30-კილომეტრიანი ტრასა მან გუშინ 1 საათში, 31 წუთსა და 26 წამში დაფარა. ამ პოპულარულ შეჯიბრებაში სასპარეზოდ (იგი გაზეთ „ვეჩერნი ლენინგრადის“ პრიზზე უკვე 48-ედ იმართება) თავი მოიყარა 46 ქალაქის 426 სპორტსმენმა.

ფინიშთან მეორე იყო ვილნიუსის დინამოელი ა. ბარანოვი — 1:33.25. მას 2 წამით ჩამორჩა ა. ევსიკოვი (ლენინგრადის „ბურევესტნიკი“).

მონაწილეთა შორის ყველაზე ხანშესული 80 წლის სოჭელი ნ. ზოლოტოვი იყო. იგი 5-კილომეტრიან მანძილზე დარბოდა.

უფროსი ასაკის სპორტსმენთა შორის ზედიზედ მეხუთედ გაიმარჯვა 61 წლის ნიკოლაეველმა გ. ჩაიკოვსკიმ. იგი უფრო „ახალგაზრდულ“ ჯგუფშიც (60 წლამდე) გამოვიდა და 15 კილომეტრი 51 წუთსა და 25 წამში გაირბინა. მისი თანატოლი, პერმელი ნ. საფრონოვი 5-კილომეტრიან დისტანციაზე გამოვიდა — 18.11.

ს. გავრილოვი.
(საქდესის კორ.).

## ერთი სტრიქონით

აშტარაკი (სომხეთის სსრ), 30 სექტემბერი. ვ. ბასკომ (ბელორუსია) და ვ. კურუნოვამ (რსფსრ) სსრ კავშირის თასები მოიგეს ჯგუფურ ველორბოლაში.

140 კილომეტრზე ვაჟთა რბოლაში ლიდერები ხშირად იცვლებოდნენ, ერევან — აშტარაკის ტრასის ბოლოს კი წინ გაიჭრნენ ბასკო, მოსკოველი ე. სმეტანინი, რიგელი რ. კალნენიექსი და ლენინგრადელი ი. ტრიფონოვი. ფინიშის ხაზი პირველმა გადაჭრა სსრ კავშირის ჩემპიონატის პრიზიორმა, 25 წლის მინსკელმა არმიელმა — 3:28.04. დანარჩენი პრიზიორები, რომლებიც გამარჯვებულს 0,1 წამით ჩამორჩნენ, ფოტოფინიშმა განსაზღვრა. მეორე აღმოჩნდა სსრ კავშირის შარშანდელი ჩემპიონი სმეტანინი, III ადგილი კი ლატვიელ ველოსიპედისტს ხვდა.

გუნდურ ჩათვლაში ყველაზე მეტი ქულა (162) ბელორუსიის მრბოლელებმა მოაგროვეს. შემდეგ მოდიან: ლატვიის (125 ქულა), უზბეკეთის, მოლდავეთის, მოსკოვისა და ლენინგრადის ველოსიპედისტები.

ანალოგიური სიტუაცია გამეორდა 35 კილომეტრზე ქალთა რბოლაშიც. ფინიშამდე დიდი მანძილი არ იყო დარჩენილი, როცა მძლავრი ბიძგით დაწინაურდნენ კურუნოვა, გ. მოლოდცოვა (ყაზახეთი) და გ. ალექსანდროვა (ლატვია). სწორედ ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა საპრიზო ადგილებიც. პრიზიორთა შედეგები ასეთია: 57.15, 57.17 და 57,47.

გუნდურ ჩათვლაში საუკეთესო იყო ყაზახეთის ნაკრები (33 ქულა). შემდეგ მოდიან: უკრაინა (30), ლატვია, ბელორუსია, ლენინგრადი.

## პრეზიდენტს მხარს დაუჭერენ

დარ-ეს-სალამი. სამოყვარულო კრივის საერთაშორისო ასოციაციის (აიბა) კონგრესზე, მას შემდეგ, რაც აიბა-ს პრეზიდენტად სსრ კავშირის წარმომადგენელი ნ. ნიკიფოროვ-დენისოვი აირჩიეს, მოხდა ვიცე-პრეზიდენტების არჩევნები. ეს პოსტები დაიკავეს: ევროპიდან — კ. ვერმა (გდრ) და რ. ლისოვსკიმ (პოლონეთი), ამერიკიდან — ვ. სანტიაგომ (კუბა) და ჯ. ჰალმა (აშშ), აფრიკიდან — ტ. კუიჯიმ (ტუნისი) და ი. ნკასამ (განა), აზიიდან — ა. ჩაუდრიმ, ერთი ადგილი ვაკანტურია, ავსტრალიიდან და ოკეანიიდან — დ. კასტელმა (ავსტრალია).

როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, ყველა ვიცე-პრეზიდენტი ახალი პრეზიდენტის პროგრამას სავსებით იზიარებს და მზადაა მას ყოველგვარი მხარდაჭერა გაუწიოს.

პოლონეთიდან მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა თბილისის „დინამო“, რომელიც მოძმე სოციალისტურ ქვეყანაში ამხანაგური შეხვედრებისთვის იყო წასული. ჩვენმა ფეხბურთელებმა პოლონეთში ორი მატჩი ჩაატარეს — ერთი წააგეს (0:2), ერთიც მოიგეს (1:0). დაწვრილებითს ცნობებს ამ მატჩების გარშემო შემდეგ ნომერში მოგაწვდით.

**0:2**

**1:0**

გასულ კვირას ერევანში გაიმართა სომხეთისა და საქართველოს დედაქალაქების ვეტერანთა ამხანაგური შეხვედრა. თამაში ფრედ დამთავრდა — 1:1.

## ახალი ფორმულით

გუშინწინ ტაშკენტში აღიმართა სსრ კავშირის ჩოგბურთელთა ჩემპიონატის ალამი. „დინამოსა“ და „ფახტაქორის“ სტადიონების 17 კორტი ორთაბრძოლების სარბიელად და თავისებურ ლაბორატორიად იქცა, სადაც საკავშირო პირველობის ახალი ფორმულა შემოწმდება.

— ეს ფორმულა საკავშირო კლასიფიკაციაში სპორტსმენის ადგილს ითვალისწინებს: უძლიერესნი ბრძოლას მეორე ეტაპიდან დაიწყებენ. ეს უფლება, პირველ ყოვლისა, მიეცათ ჩოგბურთელებს, რომლებიც 1973 წლის შედეგების მიხედვით პირველ ათეულებში არიან.

— ტურნირის დანარჩენ მონაწილეებს რისი იმედი უნდა ჰქონდეთ?

— მათთვის ვაჟთა და ქალთა პირველობების მეორე ტურში 8-8 ადგილია დაჯავშნული. სწორედ ამ ვაკანსიებს გაითამაშებენ წინასწარ, პირველ ტურში სპორტსმენები, რომლებმაც ლიდერებთან შედარებით შარშან უარესად გამოიჩინეს თავი. აქ ქვეჯგუფებში რამდენიმე „მიკროტურნირი“ გაიმართება და გამარჯვებულები მაღალი წოდებებისთვის განაგრძობენ ბრძოლას.

— რისთვის გამოიგონეთ ეს ექსპერიმენტი?

— წინათ სუსტ მოთამაშეებს პირველივე მატჩში უხდებოდათ ფავორიტთა პირისპირ გამოსვლა. და ბუნებრივია, რომ ამ შეხვედრების ბედი წინასწარ იყო გადაწყვეტილი. ახლა კი ეს სუსტები ერთმანეთში არკვევენ ურთიერთობას — თავადვე განსაზღვრავენ, ვის ძალუძს სახელოვან მოთამაშეებთან ასპარეზობა. აქედან გამომდინარე მოგახსენებთ ახალი ფორმულის კიდევ ერთ დადებით მხარეზე: გაიზარდა მატჩების რიცხვი, რომლებიც თითოეულმა ჩოგბურთელმა უნდა ითამაშოს.

მნიშვნელოვან სიახლედ უნდა ჩაითვალოს უძლიერესთა ჯგუფში ნიჭიერი ახალგაზრდობის შეყვანაც, რომელსაც 1975 წელს მოუწევს დიდ საერთაშორისო ტურნირებში თამაში.

დაბოლოს, უფროს სპორტსმენებთან ერთდროულად მედლებს პირველად გაითამაშებენ ყველაზე ნორჩი ჩოგბურთელები — 16 ბიჭი და 16 გოგო. მათი „ზღვრული ასაკი“ 14 წელია.

— როგორ გამოვლინდებიან ჩემპიონები?

— მეორე ტურის შედეგების მიხედვით 8 უძლიერესი ვაჟი და ქალი მეოთხედფინალებში გავა. მერე ყველაფერი ჩვეულებრივად მოხდება — ოლიმპიური სისტემით.

ტ. გოლუბკინა,
ე. ეფიმოვი.
(საქდესის კორ.).

ტაშკენტი.

## II ლიგა III ზონა

მოგვყავს 25 სექტემბერს შემდგარი ტურის შეხვედრათა შედეგები, რომლებიც ჩვენს გაზეთში არ იყო გამოქვეყნებული: „კოლხეთი“ (ფოთი) — „კალიტვა“ (ბელაია კალიტვა) 2:1, „დინამო“ (კიროვაბადი) — „მერცხალი“ (მახარაძე) — 2:0, „ფოლადი“ (სუმგაითი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 0:2, „ლორი“ (კიროვაკანი) — „დინამო“ (ბათუმი) 1:2, „შირაკი“ (ლენინაკანი) — „დილა“ (გორი) 1:1, „ისკრა“ (სმოლენსკი) — „ხიმიკი“ (ძერჟინსკი) 0:0, „დინამო“ (ბრიანსკი) — „ტორპედო“ (ვლადიმირი) 0:0, „ურალანი“ (ელისტა) — „ხიმიკი“ (ნოვომოსკოვსკი) 3:1, „დინამო“ (სტავროპოლი) — „დინამო“ (ვოლოგდა) 4:2.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 2 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (ბათუმი) | 33 | 18 | 11 | 4 | 47—18 | 47 |
| „დილა“ (გორი) | 33 | 20 | 6 | 7 | 76—33 | 46 |
| „ტორპედო“ (ვლადიმირი) | 32 | 17 | 11 | 4 | 47—21 | 45 |
| „დინამო“ (ვოლოგდა) | 33 | 17 | 9 | 7 | 51—31 | 43 |
| „ისკრა“ (სმოლენსკი) | 33 | 17 | 8 | 8 | 49—27 | 42 |
| „ურალანი“ (ელისტა) | 34 | 17 | 7 | 10 | 50—34 | 41 |
| „ხიმიკი“ (ძერჟინსკი) | 33 | 14 | 9 | 10 | 42—31 | 37 |
| „ლოკომოტივი“ (სამტრედია) | 33 | 14 | 9 | 10 | 40—41 | 37 |
| „დინამო“ (სტავროპოლი) | 34 | 14 | 8 | 12 | 54—36 | 36 |
| „დინამო“ (კიროვაბადი) | 33 | 15 | 4 | 14 | 50—41 | 34 |
| „დინამო“ (ბრიანსკი) | 34 | 14 | 6 | 14 | 42—43 | 34 |
| „გურია“ (ლანჩხუთი) | 33 | 7 | 16 | 10 | 38—41 | 30 |
| „შირაკი“ (ლენინაკანი) | 33 | 11 | 7 | 15 | 41—53 | 29 |
| „მერცხალი“ (მახარაძე) | 33 | 9 | 11 | 13 | 38—52 | 29 |
| „კალიტვა“ (ბელაია კალიტვა) | 34 | 11 | 6 | 17 | 35—44 | 28 |
| „კოლხეთი“ (ფოთი) | 34 | 10 | 7 | 17 | 29—48 | 27 |
| „დინამო“ (ზუგდიდი) | 33 | 11 | 5 | 17 | 35—58 | 27 |
| „ხიმიკი“ (ნოვომოსკოვსკი) | 33 | 10 | 3 | 20 | 34—54 | 23 |
| „ლორი“ (კიროვაკანი) | 33 | 3 | 9 | 21 | 19—65 | 15 |
| „ფოლადი“ (სუმგაითი) | 33 | 5 | 4 | 24 | 19—65 | 14 |

● ●

### სსრ კავშირის პირველობა





კვირას „ისნის“ სტადიონზე გაიმართა საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი მატჩი — თბილისის „განთიადი“ გეგეჭკორის „სალხინოს“ მასპინძლობდა. შეხვედრა სტუმრების გამარჯვებით დამთავრდა — 1:0.

ს უ რ ა თ ზ ე: საშიშათო მომენტი „განთიადის“ კართან.

მ. ზარგარიანის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა






# უძლეველნი

... გოგონა ბრასის სტილით პირველი მიაპობდა წყლის მოსარკულ ზედაპირს. ქუთაისის „განთიადის" საცურაო აუზის ტრიბუნებიდან ენით აუწერელი ყიჟინა გაისმოდა. განსაკუთრებით ერთი პატარა ჯგუფი აქტიურობდა. ეს ბავშვები აკაკი წერეთლის სახელობის მე-2 საშუალო სკოლის მერვეკლასელები იყვნენ. მათი მხარდაჭერა მართლაც შესაშური გახლდათ. ხუმრობა ხომ არ იყო, სულ ცოტაც და მათი თანაკლასელი დარეჯან ხორავა პირველად უნდა გამხდარიყო რესპუბლიკის ჩემპიონი.

... დიდი ქართველი მგოსნის სახელობის სკოლის მოსწავლეებმა კარგა ხანია სახელი დაიგდეს როგორც ფიზკულტურისა და სპორტის უსაზღვრო მოტრფიალეებმა. ეგ კი არა, ისინი აგერ უკვე ხუთი წელია მთელს ქუთაისში უძლეველი არიან მოსწავლეთა საქალაქო სპარტაკიადებში. თავად განსაჯეთ: I ადგილები ხელბურთელ და ტანმოვარჯიშე გოგონებს შორის, II ადგილი ხელბურთელ ვაჟებს შორის, III ადგილები ცურვაში, წყალბურთსა და მშდ კომპლექსის მრავალჭიდში. და, ბოლოს, გამარჯვება საერთო კომპლექსურ ჩათვლაში. შთამბეჭდავი შედეგებია!

რა არის მათი წარმატების საიდუმლო? არაფერი. უბრალოდ, აქ ძალიან უყვართ ფიზკულტურა და სპორტი. მაგრამ მხოლოდ საქმის სიყვარულით ფონს ვინ გასულა, თუ მუყაითი, თავდადებული შრომაც არ იქნა!

... პირველი გაკვეთილი იწყება. ფიზკულტურის დარბაზში მისი ყველაზე ნორჩი სტუმრები, მეოთხეკლასელები შემოდიან.

— ბავშვებო, აბა, ვის ვურჩიე ცურვის სექციაში ჩაწერა და ვინ დამიჯერა? — კითხულობს ფიზკულტურის მასწავლებელი დიმიტრი გურულიშვილი და პასუხად აწეულ ხელებს ხედავს.

— მაგიდის ჩოგბურთის სექციის გარეშე ხომ არავინ დარჩა?

მწკრივიდან ერთი თავჩაქინდრული გოგონა გამოვიდა.

— დედამ მითხრა, მე დიდი ჩოგბურთი უფრო მომწონსო, — დამნაშავესავით თქვა მან.

— აი, ასეა. მშობლები მუდამ არ ითვალისწინებენ თავიანთი შვილის შესაძლებლობებს. მაგრამ არა უშავს, პატარა მარინეს დედას ბოლოს და ბოლოს დავარწმუნებ, რომ ჩვენ მართალი ვართ, — გვეუბნება დიმიტრი.

დიახ, ამ სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელთა რჩევით ბევრი მათი ნორჩი მოსწავლე ეზიარა სპორტის საიდუმლოებას. ბევრი მათგანი სპორტის ოსტატიც კი გახდა და რესპუბლიკის ნაკრებშიც შეიყვანეს. წლეულს, მაგალითად, ასეთები იყვნენ კლასიკური სტილის მოჭიდავე როლანდ შალამბერიძე, მოფარიკავე ვახტანგ ჩილინგარაშვილი, მოცურავე დარეჯან ხორავა... ისინი საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადის ჩემპიონები არიან და ჩვენი მოსწავლე სპორტსმენების ღირსებას ალმა-ათაში, XIII საკავშირო სპარტაკიადაში იცავდნენ. ქუთაისის ნაკრებში კი 40-მდე მეორესკოლელია ჩარიცხული. მათ შორის პირველ ყოვლისა უნდა დავასახელოთ ტყვიის მსროლელი ლია გოგიაშვილი, ტანმოვარჯიშეები ვარდო ბოდოვა, ინგა სვანიძე...

თვითონ ფიზკულტურის მასწავლებლებიც ავარჯიშებენ მოსწავლეებს სპორტის სხვადასხვა სექციაში. მაგალითად, მოფარიკავე მარლენ კუპრაშვილი ამ სახეობის ანბანს უხსნის თავის აღსაზრდელებს, ფრენბურთელებს — მერი ახრახაძე, კალათბურთელებსა და ხელბურთელებს კი დიმიტრი ავარჯიშებს.

აქ არც მძლეოსნობა, სპორტული ტანვარჯიში და ტყვიის სროლაა დავიწყებული. მათს განკარგულებაშია საკუთარი ტირი, ტანვარჯიშული იარაღები, კალათბურთის, ფრენბურთისა და ხელბურთის მოედნები, სარბენი ბილიკები.

— მხოლოდ ერთი გაჭირვება გვაქვს. ძალიან გადატვირთულია ჩვენი სკოლა. ამიტომ, უმეტეს შემთხვევაში, დარბაზში ორ-ორი ჯგუფი შემოდის. თბილ ამინდებში იოლად გავდივართ ფონს, რადგან ერთი ჯგუფი დარბაზში რჩება, მეორე კი ღია სპორტულ მოედნებზე გადის. აი, ზამთრობით კი... — სინანულით გვეუბნებიან ფიზკულტურის მასწავლებლები.

... გოგონა ბრასის სტილით პირველი მიაპობდა წყლის მოსარკულ ზედაპირს. იგი ფინიშთანაც პირველი მიიჭრა და საქართველოს ჩემპიონობაც მოიპოვა. მას წარმატება პირველებმა თანაკლასელებმა მიულოცეს.

ა. ბურასაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ქუთაისი.

• • •

ხ უ რ ა თ ე ბ ზ ე: ფიზკულტურის მასწავლებელი მ. კუპრაშვილი ფარიკაობის ანბანს უხსნის მეცხრეკლასელ ზ. იობიძეს; დ. გურულიშვილი მეოთხეკლასელებს სამწყობრო სიარულში ავარჯიშებს; ფრენბურთელთა სექციის წევრები თავიანთ აღმზრდელ მ. ახრახაძესთან ერთად. ეს გოგონა კი მეორე საშუალო სკოლის საუკეთესო სპორტსმენი, ცურვაში საქართველოს ჩემპიონი დ. ხორავა გახლავთ.

ავტორის ფოტოები.

# სად მიდიან ჩემპიონები?

უკანასკნელად თანაქალაქელი გულშემატკივრები მას 1967 წლის შემოდგომაზე უკრავდნენ ტაშს, როცა რიგის აეროპორტში ყვავილების თაიგულებით ხვდებოდნენ აკადემიურ ნიჩბოსნობაში ევროპის ჩემპიონატში მორიგი, უკვე მეოთხე გამარჯვების შემდეგ. სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა დაინა შვეიცმა, „დიდ წყალს" რომ გამოეთხოვა, მეცნიერებას მიაშურა, მაგრამ კვლავინდებურად შეინარჩუნა სპორტისადმი ერთგულება.

ახლა ნიჩბოსნობის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესზე (შვეიცი საბჭოთა კავშირის წარმომადგენელია) იგი წელიწადში ერთხელ მიემგზავრება, ხოლო დანარჩენ დღეებში მისი ნახვა შეიძლება ლატვიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის არაორგანული ქიმიის ინსტიტუტის მაღალტემპერატურიანი სინთეზის ლაბორატორიაში. ინსტიტუტის უმცროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა დ. შვეიცმა დაიცვა დისერტაცია ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. დაინა მუშაობს ფოსფორისა და აზოტის შემცველ ახალ შენაერთთა სინთეზზე, იკვლევს მათ თვისებებს და უკვე ორი საავტორო მოწმობა აქვს მიღებული.

... ბავშვობაში იგი სპორტზე ოცნებობდა. მხოლოდ სპორტზე. პირველი დიპლომი სიგრძეზე ხტომაში გამარჯვებისთვის მოიპოვა. ფეხბურთსაც კი თამაშობდა ბიჭებთან ერთად. მაგრამ ყველაზე დიდ წარმატებას ფრენბურთის ბადესთან მიაღწია: დაინა შეიყვანეს რესპუბლიკის ნორჩთა ნაკრებში. სამწუხაროდ, მან მუხლი დაიშავა და ექიმებმა დაასკვნეს: ფრენბურთზე ფიქრიც ზედმეტია.

— მაგრამ მე უკვე ვერ წარმოვიდგენდი ჩემს ცხოვრებას უსპორტოდ, — მოგვითხრობს დაინა. — ერთხელ ჟურნალში ფოტოსურათი ვნახე: ვერცხლისფერ მდინარეში ისრის მსგავს გრძელ ნავში ცნობილი ჩემპიონი ზის. სპორტის ამ სახეობამ გამიტაცა.

თითქმის პირდაპირ საავადმყოფოდან დაინამ სანიჩბოსნო სადგურს მიაშურა. თავდაპირველად ბორანზე ვარჯიშობდა, შემდეგ — სასწავლო ნავში. აკადემიურ ერთადგილიან ნავში რომ ჯდებოდა, ნავი გადაუბრუნდა და წყალში ამოყო თავი. მწვრთნელი დაინტერესდა, ცივი იყო თუ არა წყალი, შემდეგ ტანსაცმლის გამოსაცვლელად გაგზავნა. დაბრუნებული დაინა ისევ ჩაჯდა ნავში, მაგრამ ნავი ხელმეორედ ამოტრიალდა და დაინამ კვლავ „ჩაყვინთა"...

ახლა, მრავალი წლის შემდეგ, იგი ფიქრობს, რომ მწვრთნელს იურის ალდინს პირველივე მეცადინეობაზე სურდა მისი ხასიათის შემოწმება, უნდოდა მისი გაფრთხილება, რომ სპორტულ ნიჩბოსნობას არაფერი აქვს საერთო წყალზე გასართობ გასეირნებებთან.

— იმ დღეებში ნიჩბოსნობასთან იყო დაკავშირებული სპორტში ჩემი დარჩენის იმედი. მე ცრემლი მდიოდა, მაგრამ ვიცინოდი და ისევ და ისევ ვჯდებოდი ნავში...

შვიდი წლის შემდეგ იგი პირველად გახდა კონტინენტის ჩემპიონი.

ნიჩბოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ქალთა კომისიამ, რომლის შემადგენლობაში უკვე მრავალი წელია მუშაობს დაინა შვეიცი, ბევრი ილონა იმისთვის, რომ მსოფლიო ჩემპიონატი დაწესებულიყო.

და აი, მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი ახლახან შვეიცარიაში გაიმართა. მას დაინაც დაესწრო.

ქალთა თანასწორუფლებიანობა შეჯიბრების მსაჯობაშიც ცხეს. მომავალში გაჩნდებიან აკადემიურ ნიჩბოსნობაში საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ქალები. შესაძლებელია, მათს რიცხვში იქნეს რიგელი შვეიცი, მეცნიერებათა კანდიდატი, ორი შვილის დედა. ყოველ შემთხვევაში, იგი იმედოვნებს, რომ სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ მას უფრო მეტი დრო დარჩება საყვარელი სპორტისთვის.

დაინა აღიარებს, რომ ზოგჯერ საკუთარ თავს საყვედურობს ერთი ნაჩქარევი გადაწყვეტილების გამო: მას ხომ შეეძლო, კიდევ რამდენიმე წელიწადს წარმატებით გამოსულიყო შეჯიბრებებში. სპორტი, გამარჯვებები დაინას უზომო სიხარულს ანიჭებდნენ, საშუალებას აძლევდნენ შეემოწმებინა თავისი ნებისყოფა, ნიჭი, ხასიათის სიმტკიცე. „მაგრამ სპორტზე არასოდეს ვფიქრობდი როგორც პროფესიაზე და ქიმია ავირჩიე".

— მაგრამ ის, ვისაც სპორტის სკოლა აქვს გავლილი, მთელი ცხოვრება გამობრძმედილი იქნება, — ამბობს დაინა.

ვ. კეხრისი.

რიგა.

ჩვენი ქვეყანა
50

ოქროს მედლებიდან
დისერტაციისკენ

26 კომისრის
ხსოვნას მიეძღვნა

სპორტის მოყვარულთა

# მემორიალის რეკორდები

აზერბაიჯანის დედაქალაქში 29 სექტემბერს დასრულდა 26 ბაქოელი კომისრის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო შეჯიბრებები მძლეოსნობაში. ამ ასპარეზობებში მესამედ მონაწილეობდა ტ. ტოროპოვა ვლადიმირის ოლქიდან და ბოლოს და ბოლოს წარმატებასაც მიაღწია. იგი 174 სმ სიმაღლეზე გადებულ თამასას გადაევლო და პირველობა მოიპოვა.

ვაჟთა შორის ამ სახეობაში გაიმარჯვა უკრაინის წარმომადგენელმა ვ. კიზამ — 212 სმ.

სამხტომში რესპუბლიკის რეკორდი დაამყარა ბაქოელმა ს. პენიაევმა — 16,74 მ. კიეველმა ი. პროხორენკომ ჭოკით მხტომელთა შეჯიბრებაში 5-მეტრიანი სიმაღლე დაძლია. ნოვოსიბირსკელმა ძმებმა ბ. და ვ. პრიდოროგინებმა სტარტი აიღეს 110 მეტრზე თარჯრბენში. უფროსმა ძმამ ბორისმა ეს დისტანცია 14,3 წამში დაფარა და გამარჯვებაც მოიპოვა.

შეჯიბრების მსვლელობაში ამ ტრადიციული ასპარეზობის არაერთი რეკორდი განახლდა. მაგალითად, ბოლო დღეს ამას მიაღწიეს ბირთვის კვრაში მიუნჰენის ოლიმპიადის ჩემპიონმა, პოლონელმა ვ. კომარმა (19,40 მ) და ჰ. სოკოლოვამ (ბულგარეთი), რომელმაც 100 მეტრზე თარჯრბენში 13,6 წამი აჩვენა,

ბ. ნიკოლსკი.

ბაქო.

# რბენა ჯანმრთელობისთვის

კონდოპოგის მახლობლად ჩატარდა მძლეოსნური კროსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს კარელიის ავტონომიური რესპუბლიკის უძლიერესმა მორბენლებმა. შეჯიბრება ტარდებოდა დევიზით: „მშდ-სთან მეგობრობა ჯანმრთელობაა". გაიმარჯვა მედვეჟეგორსკის სატყეო ქარხნის მეამწემ პ. ბოდროვმა, რომელმაც 15-კილომეტრიანი დისტანცია 48 წუთსა და 48 წამში გაირბინა.

ეს წარმატება შემთხვევითი როდია. ბოდროვი მშდ-ს აქტიური პროპაგანდისტია, მშობლიურ საწარმოში მან პირველმა წარმატებით ჩააბარა ახალი კომპლექსის ნორმები. გარბენში: კონდოპოგა — სუნა — კონდოპოგა, რომელიც შარშან ჩატარდა შემოდგომის სეზონის მიწურულს, მან ასევე ყველა მონაწილეს გაასწრო.

პრიზიორებთან ერთად საპატიო კვარცხლბეკზე მიიწვიეს 63 წლის მოხუცებული პ. კორჩაგინი — კონდოპოგის სტუმარი. თუმცა ფინიშზე ბოლო იყო, მას გადასცეს განსაკუთრებული პრიზი, რომელიც დააწესა ფიზკულტურისა და სპორტის რაიონულმა კომიტეტმა. კორჩაგინმა აჩვენა ისეთი გამძლეობა, რომელიც აღტაცებას იმსახურებს. მის მაგალითს (ამ სტარტამდე კორჩაგინი მთელი კვირის მანძილზე დილაობით დარბოდა მარშრუტით: კონდოპოგა — კივაჩის ჩანჩქერი — კონდოპოგა) ბევრმა ხანშესულმა მექალაქემ და ხის დამმუშავებელმა მიბაძა. უნდა ითქვას, რომ ხის დამმუშავებელი ქარხნის 46 წლის მუშა მ. ტიხონოვი, რომელიც პირველად გამოდიოდა კროსში, უძლიერესთა ათეულში მოხვდა.

ნ. მილოვი,

კონდოპოგა.

# „სპორტლოტოს" მორიგი ტირაჟი

მოსკოვი, 30 სექტემბერი. დღეს აქ გაიმართა „სპორტლოტოსა" და „სპორტლოტო-2"-ის 27-ე ტირაჟი.

აი, იღბლიანი ნომრები და სპორტის სახეობები:

„სპორტლოტო" — 7 (ბიატლონი), 13 (წყალსათხილამურო სპორტი), 21 (ცხენოსნობა), 27 (მოტოსპორტი), 38 (მშვილდოსნობა), 40 (ტურიზმი).

„სპორტლოტო-2" — 25 (თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომა), 40 (ტურიზმი), 42 (ძალოსნობა), 47 (ბურთიანი ჰოკეი), 48 (ფალრაკი), 49 (შაში).

# უნიკალური სასროლეთი

უკრაინის ქალაქ ნოვაია კახოვკაში აიგო სსრ კავშირში პირველი სტადიონი მშვილდოსნებისთვის. საუცხოო მწვანე გაზონი, რომელიც მკვეთრად გამოყოფს ფერად-ფერად სამიზნეებს, ყოველი მხრიდან ხეებითაა „შემოღობილი". სპორტული ბაზიდან რამდენიმე ნაბიჯი რომ გადადგათ, დნეპრს მიადგებით...

ნოვაია კახოვკის სტადიონი უნიკალური ნაგებობაა. მისი აღჭურვილობა და ზომები მშვილდოსნობის საერთაშორისო ფედერაციის წესების შესაბამისად ნებისმიერი რანგის შეჯიბრების ჩატარების საშუალებას იძლევა. მინდვრის სასროლეთის გვერდით მთავრდება სპეციალური შენობების აგება, რომლის „სათოფურებიდანაც" ზამთარშიც შესაძლებელი იქნება ისრების ტყორცნა მიზანში.

— მე სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში მიმიღია მონაწილეობა, — თქვა მსოფლიოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა ვ. სიდორუკმა. — ჩვეულებრივ მათთვის დროებით „გადააკეთებენ" ხოლმე საფეხბურთო მინდორს, ან უბრალოდ მოზრდილ ველს. აქ კი ყველაფერი საფუძვლიანად, ასე ვთქვათ, სტაციონარულადაა გაკეთებული და, ცხადია, ყოველგვარი მოულოდნელობა აცილებულია თავიდან.

სიდორუკმა მსოფლიო ჩემპიონ ვალენტინა კოვპანთან და სხვა უძლიერეს საბჭოთა მშვილდოსნებთან ერთად უკრაინის ამ ახალ ბაზაზე დაწყებულ უკრაინის ჩემპიონატში აიღო სტარტი.

ნოვაია კახოვკა.

# ჩემპიონატი პოლონურად

სიურპრიზი სრული იყო. ექვსი გამარჯვება შვიდ შეხვედრაში, I ადგილი ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირთა სიაში, II ადგილი კორექტული თამაშის კლასიფიკაციაში, სამი ფეხბურთელი, რომლებიც სპეციალისტებმა მსოფლიო ნაკრების კანდიდატებად დაასახელეს, დაბოლოს, ნაკრები გუნდის III ადგილი მსოფლიო ელიტაში.

ვინ იფიქრებდა X მსოფლიო ჩემპიონატის წინ, რომ პოლონეთის კოლექტივი ასეთ წარმატებას მიაღწევდა? სამწუხაროდ, არავინ, ვინაიდან შეჯიბრებამდე პოლონეთის გუნდის შანსებს ასე მაღლა არავინ აყენებდა. წითელ და თეთრ ფორმაში გამოწყობილი რაზმეულის გამოსვლა ნამდვილი სიურპრიზი იყო ყველასთვის, ყველაზე დიდი ოპტიმისტებისთვისაც კი.

საქმეში ჩახედული კაცისთვის გასაგებია, რომ გუნდმა შეიძლება მაგდაგვარ წარმატებებს მიაღწიოს, გამარჯვებები მოიპოვოს და მაინც ვერ დაიმსახუროს ტრიბუნების მოწონება და ექსპერტების კეთილმოსურნე შეფასებები. პოლონელებს კი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სტადიონებზე ყველა მატჩში ტაშით აჯილდოებდნენ შთაგონებისთვის, ლამაზი თამაშისთვის. ჯერ კიდევ მანამ, სანამ ძირითადი შეხვედრები დამთავრდებოდა, დაიწყეს ლაპარაკი თამაშის პოლონურ სტილზე. თავდაპირველად არ განუსაზღვრავთ, თუ რას წარმოადგენდა ეს სტილი, მაგრამ ხაზს უსვამდნენ, რომ პოლონელები თამაშობენ უკეთ, ვიდრე სხვები — შედეგიანად და ლამაზად, რომ მათ შესწევთ ამ ორი მოთხოვნილების გაერთიანების უნარი. ჩემპიონატი დასრულდა, ჩვენ ვერ შევძელით ფინალში გასვლა, მაგრამ გუნდის ქებას მაინც განაგრძობენ. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ პოლონეთში ჩვენ უფრო კრიტიკულად შევყურებდით გუნდის მიღწევებს, ფეხბურთელების თამაშს უფრო მკაცრად ვაფასებდით, ვიდრე საზღვარგარეთელი სპეციალისტები. რასაკვირველია, როცა გვაქებდნენ, გვიხაროდა, მაგრამ ისიც გვახსოვდა, რომ ამას შესაძლოა წარმატებისგან თავბრუდახვევა გამოეწვია.

სასტუმრო „ზონე პოსტი" პატარა ქალაქ მურპარდტში ყოველდღიურად იგერიებდა მსოფლიოს ბევრი ქვეყნის მრავალრიცხოვანი ჟურნალისტების შემოსევას. ისინი გამუდმებით ერთსა და იმავე შეკითხვას სვამდნენ: როგორ მოხდა, რომ სამი წლის მანძილზე პოლონეთის ნაკრები შევიდა დიდ სამეულში, მსოფლიოს საუკეთესო გუნდების მჭიდრო წრეში?

ჟურნალისტები არ კმაყოფილდებოდნენ ჩვეულებრივი მოკლე პასუხებით. მათთვის უცხარი იყო მოესმინათ უბრალო მტკიცებანი ფეხბურთელთა ნიჭის, შრომისუნარიანობისა და მწვრთნელთა მაღალი კვალიფიკაციის შესახებ, ან ის, რომ პოლონეთის საფეხბურთო კავშირში პროფესიონალურად ან საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე ადამიანებს მოღვაწეობის წყურვილი ამოძრავებდათ. ამიტომაც არ იყო ძოკლე პასუხები. არგენტინის ნაკრებთან გამარჯვებამ მურპარდტში მსოფლიო პრესის პირველი შემოსევა გამოიწვია. შემდეგში ინტერესი იზრდებოდა მორიგი წარმატებების მიღწევებთან ერთად. სწორედ მაშინ აღმოვაჩინე პოლონეთის ნაკრების მწვრთნელის კ. გურსკის კიდევ ერთი თვისება: პირდაპირ წარმოუდგენელი მოთმინება, ვიცოდი, რომ მას უჭირხება ჟურნალისტებთან საუბარი — მახვილგონიერი და ზოგჯერ სახუმარო პასუხები, თავს არ არიდებს პრესას, მაგრამ რას წარმოვიდგენდი, რომ იგი სრული სიმშვიდით „აიტანდა" ყველა შეკითხვას, ხშირად ძალიან გულუბრყვილოსაც კი.

ახლა, როცა ვინმე მეკითხება პოლონური ფეხბურთის წარმატების საწინდარზე, მახსენდება პასუხისმგებელ მოღვაწეთა წრეში გამართული საუბარი მიუნხენის ოლიმპიური თამაშების შემდეგ. მაშინ, როგორც ცნობილია, ჩვენმა ნაკრებმა ოქროს მედალი მოიპოვა. ლაპარაკი ეხებოდა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ თამაშებს. სწორედ იქ გავიგონე ნიშანდობლივი გამონათქვამი:

— შეიძლება მოხარული ვიყოთ ოქროს მედლით, მაგრამ შესარჩევი თამაშებისგან ძალიან ბევრს არ უნდა ველოდოთ. ჩვენს გზაზე დგანან ინგლისი და უელსი. ჩვენ მათ სწორს ვერ დავუდებთ.

ამ აზრს სხვების მხარდაჭერა არ გამოუწვევია. წინდაწინ რატომ უნდა ვთქვათ უარი და დავნებდეთ? ვცადოთ შებრძოლება. დაე ეს მსოფლიო ფეხბურთის ავანგარდში ჩვენი წინსვლის მეორე ეტაპი იყოს.

სტეფან გჟეგორჩიკი,

ყოველკვირეულ „პილკა ნოჟნას" (ვარშავა) მთავარი რედაქტორი.

ასეთ მოსაზრებას ყველა დაეთანხმა. თუმცა შეიძლებოდა ძალიან ფრთხილი პოზიციის დაკავება და ოლიმპიური წარმატებით დაკმაყოფილება. იმათს რიცხვში, ვინც ფეხბურთის განვითარების საკითხებს წყვეტდა, საბედნიეროდ, აღმოჩნდნენ მდიდარი ფანტაზიის მქონე ადამიანები, რომლებიც სხვებზე უფრო შორს იყურებოდნენ. ესენი იყვნენ მწვრთნელი კაზიმეჟ გურსკი, აგრეთვე, მშენებელი ინჟინერი, მაგისტრი იაცეკ გმოხი, რომელსაც ოცდაათჯერ უთამაშია პოლონეთის ნაკრებში. გმოხი ბევრჯერ დაპირდა ახლობლებს, რომ ფეხბურთს საერთოდ ჩამოცილდება, მაგრამ ძველი სიყვარული იმდენად ძლიერი გამოდგა, რომ იაცეკმა თავისი სიტყვა ჯერ ვერ შეასრულა. სწორედ მან თქვა პირველმა, რომ ინგლისელები არც ისე მრისხანე მეტოქეები არიან, როგორც ამას საერთოდ მიიჩნევენ. იგი რამდენიმეჯერ იყო ინგლისში, ნახა იქაური გუნდებისა და ნაკრების თამაშები, ამავე დროს, მსოფლიო პრესასაც ადევნებდა თვალს და ბოლოს დარწმუნდა, რომ შეიძლება შესარჩევ თამაშებში წარმატების მიღწევა.

სამაგიეროდ, უელსის ნაკრებთან კარდიფში პირველი შესარჩევი მატჩის წაგების შემდეგ გმოხს მეტისმეტად გაუჭირდა დაერწმუნებინა ყველა, რომ ჯერ კიდევ ყველაფერი წინ იყო. ყველა თავს დაგვჩხაოდა, რომ ამ თამაშით დაიკარგა მნიშვნელოვანი შანსი და საერთოდ ყველაფერი დაიკარგა.

საბედნიეროდ, ამ საკმაოდ უხიამოვნო სიტუაციაში მწვრთნელებმა და გუნდის პასუხისმგებელმა მუშაკებმა ხასიათის სიმტკიცე შეინარჩუნეს. ამ თავდაჭერილობის შედეგი იყო ხოჟუვში ინგლისის ნაკრებთან მოპოვებული გამარჯვება (2:0), რის შემდეგ პოლონეთის ნაკრებმა საპასუხო მატჩებისთვის მომზადების მიზნით ამერიკის კონტინენტს მიაშურა და იქ რამდენიმე შეხვედრა ჩაატარა კანადის, აშშ-სა და მექსიკის გუნდებთან. სწორედ იქ ჰქონდა დებიუტი ეროვნულ ნაკრებში ანჯეი შარმახს, X მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო ბომბარდირს. ვეტერანებთან ერთად ოკეანის გაღმა გამოცდილების შესაძენად ახალგაზრდებიც წაიყვანეს. ტურნეს პესიმისტურად განწყობილი ფეხბურთის „კრიტიკოსების" მოწონება არ დაუმსახურებია. მხოლოდ მექსიკის ნაკრებთან და, განსაკუთრებით, ვარნაში ბულგარეთის კოლექტივთან მოპოვებულმა გამარჯვებებმა პესიმისტები ხელმოცარული დატოვა.

მაგრამ ყველაზე მთავარი გამოცდები ჩვენ 1973 წლის შემოდგომაზე გველოდა. ჯერ უელსი, შემდეგ კი — ინგლისი, პირდაპირ ლომის ხახაში, „უემბლიზე". ამ უკანასკნელმა მატჩმა მძლავრი ექო გამოიწვია მთელს სამყაროში, ვინაიდან ლონდონში თავი მოიყარეს მსოფლიოს მრავალი ტელე- და რადიოსადგურის კომენტატორებმა.

როგორც შემდგომ გამოირკვა, ამ მატჩს ჩვენთვის ორმაგი მნიშვნელობა ჰქონდა. ფრეს მეშვეობით პოლონეთის ნაკრებმა დედამიწის თექვსმეტ უძლიერეს გუნდს შორის მოიპოვა ადგილი, თან ფსიქიკურად გამოიწრთო. როცა მიუნხენის მსოფლიო ჩემპიონატში იტალიელებთან მატჩის წინ ჩვენს ფეხბურთელებს აშინებდნენ ტრიბუნებით, რომლებიც, აქაოდა სავსე იქნება დასავლეთ გერმანიაში მომუშავე იტალიელებითო, ისინი ასეთ პასუხს აძლევდნენ: „უემბლის" შემდეგ ჩვენ არავითარი ტრიბუნები არ შეგვაშინებსო. მაგრამ საქმე მხოლოდ მაყურებლებს როდი ეხებოდა. თუმცა ინგლისის ნაკრები დამარცხდა ჩვენთან და შეჯიბრებას გამოეთიშა, მეტოქის გუნდმა მაინც კარგი შთაბეჭდილება დატოვა და სპეციალისტების ქებაც დაიმსახურა. ასეთ კოლექტივთან გამარჯვებამ ჩვენს ფეხბურთელებს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებს, საკუთარი ძალის რწმენა ჩაუნერგა.

სიმართლე უნდა ითქვას, რომ მხოლოდ „უემბლიზე" მატჩის შემდეგ დავიწყეთ ჩვენ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისთვის სერიოზული მზადება. ნახევარი წელიწადიღა რჩებოდა, მაგრამ, რადგან ნაკრებთან ინტენსიური მუშაობა გაცილებით ადრე დაიწყო, ხოლო ნაკრებისა და კლუბების თანამშრომლობა უკეთესად აეწყო, რეალური საფუძველი გვქონდა გვეფიქრა, რომ ვადებში ჩავეტეოდით.

აქ უნდა გავიხსენოთ პოლონეთის ფეხბურთის კავშირის მიერ შექმნილი მსოფლიო ჩემპიონატისთვის მომზადების შტაბის ამბავი. იყვნენ ისეთებიც, ვინც ეჭვის თვალით უყურებდა ასეთი გადაწყვეტილების აუცილებლობას და მიზანშეწონილად არ მიაჩნდა იგი. ისინი ამბობდნენ: საკმარისი იქნება, თუ ყველა საკითხს მწვრთნელები გადაწყვეტენო. მათ არ იცოდნენ, რომ ასეთი დიდი შეჯიბრებისთვის მომზადება ისეთი ღონისძიებაა, რომელიც გაცილებით აღემატება მწვრთნელების კომპეტენციასა და შესაძლებლობებს. ვფიქრობ, აგრეთვე, რომ ჩვენ საერთოდ მიჩვეული ვიყავით პოლონელთა უწინდელ უღიმღამო თამაშს და ამიტომ არ ვფიქრობდით წარმატების შესაძლებლობაზე. საბედნიეროდ, წარმატების იმედი და ფანტაზიის უნარი ჰქონდა შტაბში არჩეულ ხალხს, რომელსაც სათავეში ჩაუდგა პოლონეთის საფეხბურთო კავშირის თავმჯდომარის მოადგილე საწვრთნელი მუშაობის განხრით ვიტოლდ დლუჟნიაკი. მის გარდა შტაბის შემადგენლობაში შევიდნენ: მწვრთნელი კ. გურსკი, მწვრთნელის ასისტენტი და ინფორმაციის ბანკის უფროსი ი. გმოხი, ექიმი ი. გარლიცკი, პოლონეთის საფეხბურთო კავშირის პროპაგანდის უფროსი ს. გჟეგორჩიკი, გუნდის ატაშე ჟ. ლოსკა, ხაზინადარი კ. ნოვაკი. ადამიანთა ეს ჯგუფი თანამშრომლობდა კავშირის მთავარ მწვრთნელთან მ. იანოტასთან, ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელთან ა. სტრეილაუსთან და საფეხბურთო კავშირის გენერალურ მდივანთან პ. სნიადოვსკისთან და დაკავებული იყო ყველაფრით, რაც კი მსოფლიო ჩემპიონატს ეხებოდა.

ბევრმა როდი იცის, რომ 1974 წლის მსოფლიო პირველობისთვის მზადების ოპერაციამ ჩინებულად ჩაიარა. ნაკრები გუნდი შესანიშნავად იყო შემოსილი. თითოეული სპორტსმენის განკარგულებაში იყო ელეგანტური კოსტუმები, სხვადასხვა საწვრთნელი კოსტუმის რამდენიმე წყვილი, ბუცები, მაისურები, ტრუსები... იქნებ, ეს არაა ყველაზე მნიშვნელოვანი, მაგრამ რაოდენ აუცილებელია ეს ყოველდღიური შრომისა და კარგი განწყობილებისთვის!

გუნდს სპეციალური თვითმფრინავი ემსახურებოდა. სასტუმრო „ზონე პოსტში" გუნდი დაბინავდა მას შემდეგ, რაც ჩვენ გულდასმით დავათვალიერეთ მომავალი ადგილსამყოფელი, რომელიც სრულიადაც არ მიეკუთვნებოდა ათ საუკეთესო სასტუმროთა რიცხვს.

უნდა აღინიშნოს, რომ არასოდეს არც ერთი პოლონური სპორტული გუნდი არ იყო ასე ეფექტურად აღჭურვილი ინფორმაციულ-პროპაგანდისტული საშუალებებით, როგორც ფეხბურთელთა ნაკრები. X მსოფლიო ჩემპიონატზე ვერც ერთი გუნდი ვერ დაიკვეხნიდა მაგდაგვარი, ასეთი მასშტაბებით მომზადებული მასალებით. ყოველკვირეული „ფეხბურთის" სპეციალურმა გამოცემამ გერმანულ ენაზე, სამ ენაზე დაბეჭდილმა ბუკლეტმა და, განსაკუთრებით, პოლონეთის ნაკრების ამსახველმა ნაირფერადმა პლაკატმა დიდი მოწონება დაიმსახურეს დასავლეთ გერმანიაში. ამას უნდა დავუმატოთ სპეციალური სამკერდე ნიშნები, ბრელოკები, ალმები და ფერადი ღია ბარათები.

შტაბს უნდა ეწინასწარმეტყველა ყოველგვარი სიტუაცია, უნდა წარმოედგინა, როგორ გამოიყურება მსოფლიო ჩემპიონატი, მით უმეტეს, რომ ამ სფეროში მას არავითარი გამოცდილება არ გააჩნდა. შტაბი თავმდაბლურად მოქმედებდა და თავს არიდებდა აურზაურს. ზოგჯერ ერთსა და იმავე საკითხს რამდენიმეჯერ ვუბრუნდებოდით, სანამ მას საბოლოოდ არ გადავჭრიდით. უნდა გავიხსენოთ ისინიც, ვინც ეხმარებოდა შტაბს, ისინიც, ვინც გადაწყვეტილებებს იღებდა და, აგრეთვე, ისინიც, ვინც ამ გადაწყვეტილებებს ახორციელებდა. კეთილი ნების ასეთი ჯაჭვის გარეშე შტაბის ეფექტურობა, უდავოდ, გაცილებით ნაკლები იქნებოდა.

იმ ვითარებაში, როცა ტრადიციონალისტები ხანგრძლივი საწვრთნელი შეკრებების ორგანიზაციისკენ მოგვიწოდებდნენ, მწვრთნელები იცავდნენ თეორიას, რომლის მიხედვით ფეხბურთის სპეციფიკა მოითხოვს შეხვედრების დიდ რაოდენობას, მოითხოვს თამაშს და არა ვარჯიშს. როცა მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრების წინ გუნდმა საკონტროლო თამაშები არც თუ კარგად ჩაატარა და გულშემატკივრები სასოწარკვეთილი და გულდაწყვეტილი დარჩნენ, ხოლო საგნის სუსტი მცოდნეების შეძახილებმა პესიმისტური ელფერი მიიღო, არც შტაბს და არც მწვრთნელებს არ დაუკარგავთ ხასიათის სიმტკიცე და წარმატების რწმენა: მათი აზრით გუნდი ფორმაში უნდა შესულიყო ზედ ჩემპიონატის წინ და არა რამდენიმე კვირით ადრე.

გურსკი — გმოხის დუეტს შეუერთდა სტრეილაუ. ეს შემთხვევითი როდი იყო. სტრეილაუ რამდენიმე წელია წვრთნის ახალგაზრდულ ნაკრებს, საკუთარი ხუთი თითივით იცნობს გუნდის ყველა წევრს და ნაკრების კანდიდატებს. იგი სპორტსმენებს თავისთვის კი არ ინახავს, არამედ მუდამ აცნობებს გურსკის ამა თუ იმ ფეხბურთელის მზადყოფნისა და ნაკრებში თამაშის ვარგისიანობის შესახებ. როგორც ჩანს, ამ ურთიერთობით უნდა აიხსნას პოლონეთის ეროვნულ გუნდში ახალგაზრდა სპორტსმენების დიდი რაოდენობა და, კერძოდ, 20 წლის ვლადისლავ ჟმუდის კაპიტალური დებიუტი ნაკრებ კოლექტივში.

ამ სამმა, ფეხბურთზე განსხვავებული შეხედულების მქონე მწვრთნელმა, შეძლო ძალების გაერთიანება და მუშაობის დადებითად წარმართვა ერთი მიზნისთვის — გუნდის წარმატებისთვის.

დღესდღეობით ფეხბურთში ბევრს ლაპარაკობენ მეტოქეთა კოლექტივებზე მონაცემების შეგროვების აუცილებლობაზე, ინფორმაციის ბანკებზე, სპორტულ ჯაშუშთა არსებობაზე... იაცეკ გმოხს, რომელიც დიდი ენთუზიაზმით მოღვაწეობდა ასეთ სფეროში, საზღვარგარეთელმა ჟურნალისტებმა პოლონელთა დაზვერვის დიდოსტატი შეარქვეს. ბევრი გაზეთის ფურცლებზე სწორედ მას მიაწერეს ინგლისის ნაკრების განადგურების გეგმა. ბევრმა როდი იცის, რომ ნაირფერად აფიშებსა [illegible] გამოსახულ პოლონ[illegible] მოთამაშეებთან [illegible] არ არის აღბეჭდილი, რომ ფოტოსურათების გადაღების დროს ევროპაში მოგზაურობდა და მეტოქეებს უთვალთვალებდა.

გულახდილად უნდა ვაღიაროთ, რომ მსოფლიო ჩემპიონატში პოლონელების თამაშმა ყველანი გაგვაოცა, რადგან, თუმცა შესარჩევი ჯგუფიდან გასვლის იმედი გვქონდა, იმას როგორ ვიფიქრებდით, რომ ჩვენი გუნდი წარმატებით გააგრძელებდა ბრძოლას მედლების ერთ-ერთი კომპლექტისთვის. ყველაზე მეტად გაგვაკვირვა გუნდის თამაშის სტილმა — პოლონურ სტილად წოდებულმა: ფლანგებზე კაპიტალურმა თამაშმა, დაცვიდან თავდასხმაში და პირიქით, სწრაფად გადასვლის უნარმა. ჯერ კიდევ ერთი წლის წინ, „უემბლიზე" მატჩის შემდეგ აღიარეს, რომ პოლონელებს ჩინებულად შეუძლიათ დაცვაში თამაში. ახლა კი აღმოჩნდა, რომ მათ კიდევ უფრო უკეთ თავდასხმა შეძლებიათ, რადგან სწორედ თავდასხმა იყო ჩვენი გუნდის საუკეთესო რგოლი X მსოფლიო ჩემპიონატში.

როცა გურსკის კითხეს, რაში მდგომარეობს თამაშის პოლონური სტილი, საზღვარგარეთელი სპეციალისტების მიერ ამ დიდად ქებულმა მწვრთნელმა თავმდაბლად განაცხადა, რომ ჯერ კიდევ არ შესწევს უნარი უპასუხოს ამ შეკითხვას, ვინაიდან საჭიროა მატჩების ანალიზი. გურსკიმ ისიც თქვა, რომ მხოლოდ სხვა მწვრთნელებთან კონსულტაციის შემდეგ შეძლებს პოლონური სტილის განსაზღვრის ჩამოყალიბებას.

მსოფლიო ჩემპიონატზე ბევრს ლაპარაკობდნენ პოლონეთის ნაკრების თამაშის ტაქტიკაზე. სპეციალისტები აღნიშნავდნენ, რომ გუნდი დაცვითს და თავდასხმითს ოპერაციებს უშაბლონოდ ასრულებდა. ამასთან დაკავშირებით უნდა მოვიხსენიოთ არა მარტო მწვრთნელები, არამედ თვით ფეხბურთელები, ისეთები, როგორიც არიან: მცველი გორგონი, ნახევარმცველი დეინა, თავდამსხმელები ლატო, შარმახი, გადოხა... მათს წმინდა საფეხბურთო ნიჭთან ერთად მინდა აღვნიშნო ფეხბურთელთა ინტელექტუალური დონე. ნათელი აზროვნების უნარმა, გაცილებით უფრო მაღალმა, ვიდრე წინამდელი თაობის ფეხბურთელებს ჰქონდათ, საშუალება მოგვცა უარი გვეთქვა თამაშის მარტივ სქემებზე და აგვერჩია მინდორზე მოქმედების ყველაზე რთული გეგმები, რომელთაც მეტოქე ძნელად თუ აუღებდა ალღოს.

ნაკრების მწვრთნელებმა ერთსულოვნად აღნიშნეს, რომ პოლონელი ფეხბურთელები ტაქტიკური გეგმების მხოლოდ უბრალო შემსრულებლები კი არ იყვნენ, არამედ თანაავტორებიც და, რომ ისინი არა მარტო იმეორებდნენ გეგმებს, არამედ ავითარებდნენ და ამდიდრებდნენ კიდეც მათ.

ისიც მართალია, რომ 1974 წლის წარმატებებზე მუშაობდნენ თაობები, ხოლო წარსულის უმთავრესად მწარე გაკვეთილებმა, დასამალი აქ არაფერია, საშუალება მოგვცა სასოწარკვეთილებისა და დამარცხებებისთვის აგვერიდებინა თავი. პირადად მე მიმაჩნია, რომ ბოლო წლებში ჩვენი ფეხბურთის სწრაფი წინსვლის ძირითად წყაროს წარმოადგენდა სახელმწიფოს მიერ პოლონეთში სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობისთვის აუცილებელი პირობების შექმნა და საქმის სამსახურში ფეხბურთის მოტრფიალე, თავდადებული ხალხის ჩაყენება. ადამიანებს, რომელთაც პოლონეთის ნაკრების ხელმძღვანელობა აქვთ დავალებული, არა მარტო უყვართ ფეხბურთი, არამედ, უპირველეს ყოვლისა, კარგადაც იცნობენ ამ სახეობას. ისინი ფეხბურთს უყურებენ არა მარტო მოღვაწის სავარძლიდან საპატიო ლოჟაში, ან სამდივნოს ჩინოვნიკის მაგიდიდან, არამედ სპორტის განვითარების კანონების მხრიდან, მწვრთნელისა და სპორტსმენის მხრიდან.

ამ ღრმა ცოდნამ საშუალება მოგვცა დაგვემუშავებინა X მსოფლიო ჩემპიონატისთვის მომზადების დამახასიათებელი, პოლონური გეგმა, მოქმედებების საკუთარი კონცეფცია და საკუთარი და სხვისი გამოცდილებიდან შეგვერჩია ის, რაც ყველაზე არსებითი იყო.

* * *

თუ რაოდენ დაძაბული იყო მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები ინგლისის ნაკრებთან, ეს მარცხენა სურათიდანაც ჩანს: ხოჟუვის სტადიონზე გამართულ მატჩში, რომელიც კოკისპირულ წვიმაში მიმდინარეობდა, პოლონელებმა მრისხანე მეტოქის კარში გოლი გაიტანეს და მათი მეკარის იან ტომაშევსკის სიხარულს საზღვარი არა აქვს.





მარჯვენა სურათზე პოლონეთის ნაკრების უფროსი მწვრთნელი კაზიმეჟ გურსკია აღბეჭდილი.

ე. ვარშინსკის ფოტოები.

დაწერილია „ლელოსთვის".





საბჭოთა „მფრინავი მოთხილამურეები“ ენერგიულად ემზადებიან მომავალი ზამთრის სპორტული სეზონისთვის. შეიქმნა ქვეყნის ნაკრები, რომელსაც სათავეში ჩაუდგნენ ი. დოროფეევი და ა. ჟეგლანოვი. მათ ნაკრებში მიიწვიეს ფალუნის მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი ა. ბოროვიტინი, ევროპის იუნიორთა ექს-ჩემპიონი, კიროველი ე. ჩერნიშოვი, ქვეყნის რეკორდსმენი სიშორეზე ფრენაში ლენინგრადელი ი. კალინინი, მისი თანაქალაქელი ა. კარაპუზოვი, იუნიორებში ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი, ტომსკელი ა. პეტროვი, მოსკოველი დ. აბრამოვი, გორკელი ს. სუსლიკოვი და სარტავალელი ი. ივანოვი.

* * *

სურათებზე: ა. პეტროვი მიწაზე დაშვების ილეთს ეუფლება; მორიგი ნახტომისთვის ემზადება ა. ბოროვიტინი.

ვ. გალაკტიონოვის ტექსტი და ფოტოები.




## მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი

• •

# კარპოვი — კორჩნოი 2:0 (5 ყაიმი)

მოსკოვი, 30 სექტემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). მატჩის VII პარტიაში მეტოქეები მე-8 სვლამდე III პარტიის მსგავსად თამაშობდნენ. მე-14 სვლაზე კორჩნოიმ უზუსტოდ ითამაშა და კარპოვმა კარგი პოზიცია მიიღო.

კორჩნოის საერთოდ ეხერხება დაცვა. ის მუყაითად შეუდგა პოზიციის ხარვეზების გამოსწორებას. კარპოვმა შავებით ამჯერადაც ვერ შეძლო უპირატესობის რეალიზება, კორჩნოის მტკიცე დაცვის დაძლევა. 21-ე სვლაზე მან მეფის ფრთის პაიკები დაასუსტა, თუმცა მცირე უპირატესობა მაინც შეინარჩუნა.

მალე კორჩნოი ცაიტნოტმა შეაწუხა, მაგრამ ამჯერად იგი გონებამახვილურად თამაშობდა და მეტოქის ყველა მუქარა უვნებელყო. 44 სვლის შემდეგ პარტია გადაიდო.

კარპოვი



კორჩნოი

ამ პოზიციაში კორჩნოიმ თავისი 45-ე სვლა ჩაიწერა. სპეციალისტების აზრით, პოზიცია საყაიმოა.

• • •

მოსკოვი, 1 ოქტომბერი. კარპოვ — კორჩნოის მატჩის VII პარტია ყაიმით დამთავრდა.

# დრო არ ეყოთ




ხუთი საათი, რომელიც თითოეულ პარტიაზეა გამოყოფილი, არც ისე ცოტა დროა. მაგრამ ჭადრაკი იმდენად რთულია, რომ ბევრს ეს დრო წამოჭრილი პრობლემების გადასაწყვეტად არ ყოფნის. ამიტომაც გუშინწინ გამართულ V ტურში ექვსი პარტია გადადებული აღმოჩნდა.

ნ. მედიანიკოვამ (მოსკოვი) თავიდანვე ტერიტორიული უპირატესობა მოიპოვა მ. სამულთან (ტალინი) პარტიაში და ხუთი საათის მანძილზე ავიწროებდა მეტოქეს, მაგრამ ჩანაფიქრის ხორცშესხმისთვის მაინც არ ეყო დრო. გადადებულ პარტიაში კიდევ ხანგრძლივი ბრძოლაა მოსალოდნელი.

თ. გოლოვეის (მინსკი) ენდშპილში ვ. კოზლოვსკაიასთან (პიატიგორსკი) ზედმეტი პაიკი აქვს. ამ უპირატესობის რეალიზებისთვის გოლოვეისაც კარგა ხანს დასჭირდება თამაში.

ყველა გააოცა ა. გრინფელდის (კალინინგრადი) სითამამემ, როცა მან მ. რანიკუსთან (ტალინი) პარტიაში მეფე ცენტრში გამოიყვანა. შეიქმნა შთაბეჭდილება, თითქოს გვირგვინოსანი სწრაფად დაეცემოდა, მაგრამ რანიკუმ მას ყურადღება არ მიაქცია. მალე შავი პაიკი გრინფელდის ბანაკში შეიჭრა. ეს პარტიაც გადაიდო.

გადადებულ პარტიაში ტ. ფომინა (ტალინი) ალბათ თამაშის განუახლებლად დანებდება ე. ფათალიბეკოვას (მოსკოვი). მთავარი ის კი არ არის, რომ შეწყვეტილ პოზიციაში მას ხარისხი აკლია, არამედ ის, რომ მის მეფეს შამათი ემუქრება, რომლის მოგერიება მხოლოდ მხედრის დათმობით შეიძლება.

მ. შულს (ლვოვი) ტ. კოსტინასთან (მინსკი) და ტ. პოპოვას (მოსკოვი) ა. კისლოვასთან (ომსკი) თითო ზედმეტი პაიკი აქვთ. მეორე პარტიაში ეტლების ენდშპილია და პაიკის რეალიზება, თუ ეს საერთოდ შეიძლება, ალბათ კიდევ რამდენიმე საათს მოითხოვს.

ერთ საათში დამთავრდა თბილისელი ოსტატების თ. ხუგაშვილისა და მ. ჩიბურდანიძის შეხვედრა. ხუგაშვილმა მოულოდნელად დაკარგა ფიგურა და მე-20 სვლაზე ფარ-ხმალი დაყარა.

ყველანი მოხიბლა ც. კობაიძის (თბილისი) ფინალმა ტ. მოროზოვასთან (ლვოვი) პარტიაში. კრიტიკულ მომენტში მან მახე დაუგო მეტოქეს. მოროზოვამ ალღო ვერ აუღო მუქარას, უეტლოდ დარჩა და თბილისელ კოლეგას გამარჯვება მიულოცა.

აუღელვებელი თამაშის შემდეგ, 32-ე სვლაზე, რ. ბილუნოვა (მოსკოვის ოლქი) და ლ. მულენკო (ზაპოროჟიე) ყაიმზე შეთანხმდნენ.

5 ტურის შემდეგ კვლავ ლიდერობს ე. ფათალიბეკოვა — 4 ქულა და 1 გადადებული პარტია.

თ. გიორგაძე.

# დაწინაურდა ლიტველი სტუმარი

თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლში გრძელდება პროფკავშირების მოჭადრაკე ქალთა საკავშირო პირველობის ნახევარფინალური ტურნირი, რომელშიც 16 სპორტსმენი მონაწილეობს.

7 ტურის შემდეგ ლიდერობს ოსტატობის კანდიდატი ლ. ბენესონი (ვილნიუსი) — 5,5 ქულა და 1 გადადებული პარტია. მას კვალში მიჰყვებიან ტ. ვორონოვა და ლ. ზაიცევა (ორივე — მოსკოვი) — 5-5.

ტურნირში ოთხი თბილისელი მოჭადრაკე მონაწილეობს. 13 წლის ოსტატობის კანდიდატ ნ. იოსელიანს 4 ქულა აქვს, ოსტატობის კანდიდატ ც. კახაბრიშვილს — 3 ქულა და 3 უკეთეს მდგომარეობაში გადადებული პარტია, ოსტატობის კანდიდატებს რ. გეგიძეს — 1,5 (2) და ქ. გაჩეჩილაძეს — 1,5 (1).

რ. თავარიანი,
ნახევარფინალური ტურნირის მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

როგორც ცნობილია, ამას წინათ თბილისში დამთავრდა ყრუ-მუნჯ მოჭადრაკე ქალთა VI საკავშირო ჩემპიონატის ფინალი. უძლიერესის სახელი მოიპოვა ვოროშილოვგრადელმა ა. ვოლკოვამ. II-III ადგილები გაიყვეს ლ. გაივორონოვამ (ლენინგრადი) და სსრ კავშირის ექს-ჩემპიონმა პ. სამოხინამ (ოდესა). კოეფიციენტთა ცხრილით II ადგილი გაივორონოვას მიეკუთვნა.

• • •

სურათზე (მარცხნიდან): პ. სამოხინა, ა. ვოლკოვა და ლ. გაივორონოვა.

მ. ზარგარიანის ფოტო.



# რეკორდები

ლონდონი, 30 სექტემბერი. ინგლისელმა მძლეოსანმა რეი მიდელტონმა სპორტულ სიარულში სამი მსოფლიო რეკორდი დაამყარა: 8 საათში 85,612 კმ დაფარა, გზად 40 მილი 5 საათში, 56 წუთსა და 29 წამში გაიარა, ხოლო 50 მილზე 7:31.06 აჩვენა.

# მძლეოსანთა სტარტები

ბუდაპეშტი, 30 სექტემბერი. ადგილობრივ „ნეპშტადიონზე“ გაიმართა უნგრეთისა და ნორვეგიის მძლეოსანთა ნაკრები გუნდების მატჩი. შესანიშნავ წარმატებას მიაღწია 24 წლის მიკლოშ ნემეტმა, რომელმაც უნგრეთის რეკორდი დაამყარა შუბის ტყორცნაში — 87,44 მ (მესამე შედეგია წლეულს მსოფლიოში).

უნგრეთისა და რუმინეთის მძლეოსან ქალთა გუნდების მატჩში არჟენტინა მენისმა 64,62 მეტრზე ტყორცნა ბადრო, ხოლო მარიანა სუმანმა 400 მ 52,2 წამში გაირბინა.

პარიზი, 30 სექტემბერი. ევროპის ამასწინანდელი ჩემპიონატის „ვერცხლის“ ათჭიდელმა, 23 წლის ივ ლერუამ აქ გამართულ შეჯიბრებაში საფრანგეთის რეკორდი დაამყარა — 8229 ქულა. ეს მეორე შედეგია წლეულს მსოფლიოში და მეექვსე — მძლეოსნობის ისტორიაში. (საკდესი).

# ფედერაციის იუბილეს აღსანიშნავად

ბრიუსელი, 30 სექტემბერი. (საკდესი). 0:0 — ასეთი ანგარიშით დამთავრდა „საუკუნის მატჩი“ ბალახის ჰოკეიში, რომელშიც ერთმანეთს შეხვდნენ ევროპისა და აზიის ნაკრები გუნდები. ეს საინტერესო თამაში ბალახის ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციის 50-ე წლისთავს მიეძღვნა.

მიუხედავად იმისა, რომ მთელი შეხვედრის დროს კოკისპირულად წვიმდა, უნიკალური ორთაბრძოლის (ბალახის ჰოკეის ისტორიაში ამგვარი მატჩი პირველია) სანახავად თითქმის 3 ათასმა მაყურებელმა მოიყარა თავი.

აშკარა უპირატესობას „ევროპელები“ ფლობდნენ, რომლებიც 70-წუთიანი შეხვედრის განმავლობაში 64 წუთს უტევდნენ. აზიის გუნდს, რომელიც შვიდგზის ოლიმპიური ჩემპიონის — ინდოეთის ნაკრებისა და პაკისტანის კოლექტივის მოთამაშეებით იყო დაკომპლექტებული, მხოლოდ ერთხელ შეექმნა მეტოქის კარის აღების რეალური შანსი. მაგრამ მე-6 წუთზე მათმა კაპიტანმა, ხ. სინკხმა (ინდოეთი), რომელიც ამ გუნდში უდავოდ უძლიერესი იყო, ხელსაყრელი სიტუაცია ვერ გამოიყენა.

ევროპის ნაკრებში საუკეთესო გახლდათ 28 წლის ჰოლანდიელი ჰოკეისტი ფ. სპიტსი, რომლისთვისაც ეს შეხვედრა 121-ე საერთაშორისო მატჩი იყო.

ევროპის გუნდში თამაშობდა, აგრეთვე, გფრ-ის 5 წარმომადგენელი (მიუნხენის ოლიმპიადის ჩემპიონები), 3 ჰოლანდიელი (მსოფლიოს ბოლო, 1973 წლის ჩემპიონები), 2 ესპანელი (ევროპის წლევანდელი ჩემპიონები).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თბილისის სპორტულ [illegible]

ჭადრაკი. ოფიცერთა საოლქო სახლი (რუსთაველის პრ. № 16). პროფკავშირების მოჭადრაკე ქალთა საკავშირო პირველობის ნახევარფინალი. 2-13 ოქტომბერი. 2 ოქტომბერს გაიმართება IX ტური, 3-ში — X, 4-ში — გადადებული პარტიების დამთავრება. დასაწყისი 14 ს.

ИНДЕКС 66443

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უ 14145